თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი № 03

„21“ თებერვალი 2022 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე;**
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**
ფრაქციის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“თავმჯდომარე **ალექსი მჟულიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **მედეა ჩაფურიშვილი;**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. თ.მთვარელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის წლიური ანგარიშის შესახებ.

   მომხს. ზ.ლილუაშვილი

3. საკრებულოს წევრის ზაქარია გრიშიკაშვილის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრად მიღების შესახებ.

   მომხს. ლ.ბერძენაშვილი

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული საკითხები, რომელსაც მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

საკრებულოს მხრიდან სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოდგენილი იქნა საკითხები:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ".

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

თ. ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ინიციატივით მომზადებული იქნა პროექტი: „თელავის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ", აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სხვა კომისიების და მერიის მოსაზრებები, რის გამოც, საჭიროა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და საკითხი შეტანილი იქნას მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

<u>გადაწყვიტეს:</u> 2022 წლის 28 თებერვალს 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხს. გ.თავბერიძე
   12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხს. გ.თავბერიძე
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

4. გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავზერიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

7. „თელავის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხს. ზ.ლილუაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ზ.ლილუაშვილმა** ბიუროს წარუდგინა თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის წლიური ანგარიში და აღნიშნა, რომ კომისიის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული ანგარიში.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის წლიური ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

3.მოისმინეს: საკრებულოს წევრის ზაქარია გრიშიკაშვილის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრად მიღების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

**ლ.ბერძენაშვილმა** ბიუროს წევრებს წარუდგინა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის განცხადება ფრაქციის წევრის ზაქარია გრიშიკაშვილის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში გაწევრიანების შესახებ.
მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტირების ფარგლებში ზ.გრიშიკაშვილის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში გაწევრიანებას არ აქვს რაიმე შემაფერხებელი საფუძველი. აღნიშნული ინფორმაცია ბიურომ უნდა მიიღოს ცნობად.

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს წევრის ზაქარია გრიშიკაშვილის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში გაწევრიანება მიღებულ იქნეს ცნობად, შესაბამისად აღნიშნული კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. ლევან კოჭლოშვილი
2. დავით ღაღანიძე
3. ზურაბ მოსახლიშვილი
4. ზურაბ მუსაევი
5. ზაზა ტატულიშვილი
6. გიორგი ქართლელიშვილი
7. ივანე კირვალიძე
8. ნიკოლოზ მაისურაძე
9. მამუკა ბურდიაშვილი
10. ალექსანდრე კუპატაძე
11. გელა ჭვრიტიძე
12. რამაზ ჩეკურიშვილი
13. ზაქარია გრიშიკაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი

GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL 291535